

კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები, ამ კონვენციის მონაწილენი, შემდგომში ხელშემკვრელი მხარეები,

ისწრაფვიან რა უზრუნველყონ ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეებისა და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის მათი პიროვნული და უფლებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვა, როგორც აქვთ მათ საკუთარ მოქალაქეებს,

ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას თანამშრომლობის განვითარებას იუსტიციის დაწესებულებებს შორის სამართლებრივ დახმარებაში სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

კარი I

ზოგადი დებულებები

ნაწილი I

სამართლებრივი დაცვა

მუხლი I. სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი, აგრეთვე მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირნი, სარგებლობენ ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე პირად და ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც ამ ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი.

2. ყოველი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეს, აგრეთვე მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა პირებს უფლება აქვთ თავისუფლად და შეუფერხებლად მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციაში შედის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები (შემდგომ იუსტიციის დაწესებულებები). გამოვიდნენ იქ, წარადგინონ შუამდგომლობა, შეიტანონ სარჩელი და განახორციელონ სხვა საპროცესო მოქმედება იმავე პირობებით, როგორც ამ ხელშემკვრელი ქვეყნის მოქალაქეებს.

3. ამ კონვენციის დებულებები გამოიყენება აგრეთვე იმ იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც ხელშემკვრელი მხარეების კანონმდებლობათა შესაბამისად შეიქმნება.

მუხლი 2. ბაჟის გადახდისა და ხარჯების ანაზღაურებისაგან გათავისუფლება

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირნი თავისუფლდებიან სასამართლო და სანოტარო ბაჟისა და ხარჯების გადახდისაგან, აგრეთვე სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით ისევე, როგორც საკუთარი მოქალაქენი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული შერავათები ვრცელდება ყველა საპროცესო მოქმედებაზე, რომელიც ხორციელდება ამ საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების ჩათვლით.

მუხლი 3. საოჯახო და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დოკუმენტის წარდგენა

1. მეორე მუხლით გათვალისწინებული შეღავათები მიეცემა შუამდგომლობის აღმძვრელ პირს საოჯახო და ქონებრივი მდგომარეობის დოკუმენტის საფუძველზე. ამ დოკუმენტს გადასცემს ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური დაწესებულება, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს ან იმყოფება განმცხადებელი.

2. თუ განმცხადებელი არ ცხოვრობს ან არ იმყოფება ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე, მაშინ საკმარისია წარადგინოს იმ ხელშემკვრელი მხარის შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის მოქალაქეც იგი არის.

3. დაწესებულებას რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება შეღავათების თაობაზე, შეუძლია მოსთხოვოს დოკუმენტის გამცემ დაწესებულებას დამატებითი მონაცემები ან საჭირო განმარტება.

ნაწილი II

სამართლებრივი დახმარება

მუხლი 4. სამართლებრივი დახმარების გაწევა

1. ხელშემკვრელი მხარეების იუსტიციის დაწესებულებები ახორციელებენ სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

2. იუსტიციის დაწესებულებები უწევენ სამართლებრივ დახმარებას სხვა დაწესებულებებსაც ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ საქმეებზე.

მუხლი 5. ურთიერთობათა წესი

ამ კონვენციის შესრულებისას ხელისშემკვრელ მხარეთა იუსტიციის კომპეტენტური დაწესებულებები ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან თავიანთი ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, თუ ამ კონვენციით დადგენილი არ არის ურთიერთობათა სხვა წესი.

მუხლი 6. სამართლებრივი დახმარების მოცულობა

ხელშემკვრელი მხარეები სამართლებრივ დახმარებას უწევენ ერთმანეთს საპროცესო და სხვა მოქმედებათა შესრულებით, რაც გათვალისწინებულია იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა, აქ შედის კერძოდ: დოკუმენტის შედგენა და გადაგზავნა, ჩხრეკა, ნივთიერ მტკიცებულებათა ამოღება, გადაგზავნა და გადაცემა, ექსპერტიზის ჩატარება, მხარეთა, ბრალდებულთა, მოწმეთა და ექსპერტების დაკითხვა, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა, დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნა და გადაცემა, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენების, აგრეთვე სააღსრულებო წარწერათა ცნობა და აღსრულება, ასევე დოკუმენტების გადაცემა.

მუხლი 7. სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ დავალების შინაარსი და ფორმა

1. სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ დავალებაში მითითებული უნდა იყოს:

- ა) იმ დაწესებულების დასახელება, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა;
- ბ) მომთხოვნი დაწესებულების დასახელება;
- გ) იმ საქმის დასახელება რომელზეც წაყენებულია სამართლებრივი დახმარების მოთხოვნა;
- დ) მხარეთა, მოწმეების, ეჭვმიტანილთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, ან დაზარალებულთა სახელები და გვარები, მათი საცხოვრებელი ადგილი და ადგილსამყოფელი, მოქალაქეობა, საქმიანობა, ხოლო სისხლისსამართლებრივ საქმეებზე აგრეთვე დაბადების ადგილი და თარიღი, შეძლებისდაგვარად, მშობლების სახელი და გვარი: იურიდიული პირებისათვის – მათი დასახელება და ადგილსამყოფელი;

ე) თუ არიან “გ” პუნქტში ჩამოთვლილ პირთა წარმომადგენლები – მათი სახელი, გვარი და მისამართი;

ვ) დავალების შინაარსი, აგრეთვე მის შესასრულებლად საჭირო სხვა მონაცემები;

ზ) სისხლის სამართლის საქმეებზე – აგრეთვე ქმედობის ჩადენის აღწერა, კვალიფიკაცია და მონაცემები ქმედობის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ.

2. დოკუმენტის გადაცემის დავალებაში უნდა იყოს მითითებული მიმღების ზუსტი მისამართი და გადაცემული დოკუმენტის დასახელება.

3. დავალება უნდა იყოს ხელმოწერილი და მომთხოვნი დაწესებულების გერბიანი ბეჭდით დამოწმებული.

მუხლი 8. შესრულების წესი

1. სამართლებრივი დახმარების გაწევის დროს დავალების შესრულებისას ის დაწესებულება, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, სარგებლობს თავისი ქვეყნის კანონმდებლობით. მომთხოვნი დაწესებულების თხოვნით მას შეუძლია გამოიყენოს ხელშემკვრელი მხარის საპროცესო ნორმებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან იმ ხელისშემკვრელი მხარის კანონმდებლობას, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა.

2. თუ დაწესებულება, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა, არ არის კომპეტენტური შეასრულოს დავალება, ის უგზავნის კომპეტენტურ დაწესებულებას და უწყებას ამის თაობაზე მომთხოვნ დაწესებულებას.

3. მომთხოვნი დაწესებულების თხოვნით, დაწესებულება, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა დროულად აცნობებს მას და დაინტერესებულ მხარეებს დავალების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ, რათა მათ შეეძლოთ დაესწრონ დავალების შესრულებას მომთხოვნი ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში, თუ დავალებაში მითითებული პირის ზუსტი მისამართი ცნობილი არ არის, დაწესებულება, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც ის იმყოფება, იღებს საჭირო ზომებს მისამართის დასადგენად.

5. დავალების შესრულების შემდეგ დაწესებულება, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა, უბრუნებს დოკუმენტს მომთხოვნ დაწესებულებას; იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი დახმარების გაწევა შეუძლებელია, იგი იმავდროულად აცნობებს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ დავალების შესრულებას და უბრუნებს დოკუმენტებს მომთხოვნ დაწესებულებას.

მუხლი 9. მოწმეთა, დაზარალებულთა, სამოქალაქო მოსარჩელეთა, სამოქალაქო მოპასუხეთა, მათი წარმომადგენლების, ექსპერტების გამოზახება.

1. მოწმე, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები, აგრეთვე ექსპერტი, რომელსაც გამოძახებას გადასცემს მოთხოვნის წამომყენებელი ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებაში, შეუძლებელია, მიუხედავად თავისი მოქალაქეობისა, მიეცეს მის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში, დაპატიმრებულ იქნეს და დაისაჯოს ქმედობისათვის, რომელიც ჩაიდინა მისი სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთამდე. ასეთი პირები არ შეიძლება აგრეთვე მიცემულ იქნენ პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნენ ან დაისაჯნენ მათ მიერ მიცემული მოწმის ჩვენების ან საექსპერტო დასკვნის გამო სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლო გარჩევის საგანს წარმოადგენს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები კარგავენ ამ პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებს, თუ არ დატოვებენ მოთხოვნის წამომყენებელი ხელისშემკვრელი მხარის ტერიტორიას, თუმცა მათ აქვთ ამის საშუალება 15 დღე-ღამის გასვლამდე იმ დღიდან, რაც მათი დამკითხავი იუსტიციის დაწესებულება აუწყებს, რომ მათი შემდგომი ყოფნა აუცილებელი არ არის. ამ ვადაში არ შედის დრო, რომლის განმავლობაშიც აღნიშნულ პირებს, თავისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეეძლოთ დაეტოვებინათ მომთხოვნი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორია.

3. მოწმეს, ექსპერტს, აგრეთვე დაზარალებულს დამის კანონიერ წარმომადგენელს მომთხოვნი ხელშემკვრელი მხარის მიერ აუნაზღაურდება მოთხოვნის წამომყენებელ სახელმწიფოზე გასვლის და იქ ყოფნის ხარჯები, ისევე, როგორც ხელფასი, რომელიც აღნიშნულმა პირმა ვერ მიიღო სამუშაოს გაცდენის გამო; ექსპერტს უფლება აქვს აგრეთვე მიიღოს გასამსჯელო ექსპერტიზის ჩატარებისათვის. გამოძახებაში მითითებული უნდა იყოს რა თანხების მიღების უფლება აქვთ კიდევ გამოზახებულ პირებს; მათი შუამდგომლობით მომთხოვნი ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულება მათ გადაუხდის ავანსს სესაბამისი ხარჯების დასაფარავად.

4. ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები მოწმის ან ექსპერტის გამოძახება მეორე ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებაში არ უნდა შეიცავდეს იძულების საშუალებათა გამოყენების მუქარას გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

მუხლი 10. დოკუმენტების გადაცემის დაგეგმვა

1. იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, დოკუმენტების გადაცემას განახორციელებს ამ სახელმწიფოში მოქმედი წესის შესაბამისად, თუ გადაცემული დოკუმენტები დაწერილია ამ სახელმწიფო ენაზე ან რუსულ ენაზე, ან დოკუმენტებს თან ერთვის დამოწმებული თარგმანი ამ ენებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დოკუმენტებს გადასცემს მათ მიმღებს, თუ ეს უკანასკნელი თანახმაა ნებაყოფლობით მიიღოს ეს დოკუმენტები.

2. თუ დოკუმენტების გადაცემა მისამართით შეუძლებელია, იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, თავისი ინიციატივით იღებს აუცილებელ ზომებს მისამართის დასადგენად. თუ იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, ვერ შეძლებს მისამართის დადგენას, ამის შესახებ აცნობებს მომთხოვნ მხარეს და უბრუნებს მას გადასაცემ დოკუმენტებს.

მუხლი 11. დოკუმენტის გადაცემის დადასტურება

დოკუმენტების გადაცემას ადასტურებს დოკუმენტების მიმღები პირი ხელმოწერით და იმ დაწესებულების ოფიციალური ბეჭდით, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს. დადასტურება უნდა შეიცავდეს დოკუმენტის გადაცემის თარიღს და იმ დაწესებულების მუშაის ხელმოწერას, რომელიც გადასცემს

დოკუმენტს ანდა ამ დაწესებულების მიერ გაცემული უნდა იყოს სხვა დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება გადაცემის წესი, ადგილი და დრო.

მუხლი 12. დიპლომატიურ წარმომადგენელთა და საკონტროლო დაწესებულებათა უფლებამოსილება

1. ხელშემკვერელ მხარეებს უფლება აქვთ დოკუმენტები გადასცენ საკუთარ მოქალაქეებს თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით.

2. ხელშემკვერელ მხარეებს უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენტური ორგანოების დაგალებით დაკითხონ საკუთარი მოქალაქეები თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლობების ან საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით.

3. ამ მუხლის I-ლ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებულ შემთხვევებში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულების საშუალებები ან მათი მუქარა.

მუხლი 13. დოკუმენტების ნამდვილობა

1. დოკუმენტები, რომლებიც მომზადებული არიან ან დადასტურებულია ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე, სპეციალურად ამისთვის კომპეტენტური დაწესებულების ან რწმუნებული პირის მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი ფორმით, და დადასტურებულია გერბიანი ბეჭდით, მიიღება სხვა ხელშემკვერელი მხარეების ტერიტორიებზე ყოველგვარი სპეციალური დამოწმების გარეშე.

2. დოკუმენტი, რომელიც ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე განიხილება, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, სხვა ხელშემკვერელი მხარეების ტერიტორიებზე ოფიციალური დოკუმენტის დამატკიცებელი ძალით.

მუხლი 14. მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ დოკუმენტებისა და სხვა დოკუმენტების გადაგზავნა

ხელშემკვერელი მხარეები ვალდებულია კისრულობენ ერთმანეთს გადაუგზავნონ თხოვნით თარგმანის გარეშე და უფასოდ სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ აქტების სარეგისტრაციო მოწმობები, დოკუმენტები განათლების, შრომითი სტაჟის შესახებ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ეხება იმ ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების პირად ან სხვა ქონებრივ ინტერესებს, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა.

მუხლი 15. ინფორმაცია სამართლებრივ საკითხებზე

ხელშემკვერელ მხარეთა იუსტიციის ცენტრალური დაწესებულებები თხოვნის თანახმად ერთმანეთს წარუდგენენ ცნობებს მათ ტერიტორიებზე მოქმედი ან აღრე მოქმედი შინაგანი კანონმდებლობისა და იუსტიციის დაწესებულებათა მიერ მისი გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

მუხლი 16. მისამართებისა და სხვა მონაცემების დადგენა

1. ხელშემკვერელი მხარეები თხოვნის თანახმად ეხმარებიან ერთმანეთს თავიანთ კანონმდებლობათა შესაბამისად იმ პირთა მისამართების დადგენაში, რომლებიც ცხოვრობენ მათ ტერიტორიაზე, თუ ეს საჭიროა მათი მოქალაქეების უფლებათა განხორციელებისათვის. ამასთან მოთხოვნის წამომყენებელი ხელშემკვერელი მხარე ატყობინებს მეორე მხარეს მის ხელთ არსებულ მონაცემებს თხოვნაში მითითებული პირის მისამართის დასადგენად.

2. ხელშემკვერელი მხარეების იუსტიციის დაწესებულებები ეხმარებიან ერთმანეთს იმ ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა

სამუშაო ადგილისა და შემოსავლების შესახებ მონაცემების დადგენაში, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა და რომლის მოქალაქეებსაც მომთხოვნი ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებაში წაყენებული აქვთ ქონებრივი მოთხოვნები სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

მუხლი 17. ენა

ამ კონვენციის შესრულებისას ხელშემკვრელ მხარეთა იუსტიციის დაწესებულებები ერთმანეთთან ურთიერთობისთვის იყენებენ ხელშემკვრელ მხარეთა სახელმწიფო ენებს ან რუსულ ენას.

მუხლი 18. სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებული ხარჯები

ხელშემკვრელი მხარე, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა, არ მოითხოვს სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. ხელშემკვრელი მხარეების თვითონ კისრულობენ ყველა დანახარჯის ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა ტერიტორიაზე სამართლებრივი დახმარების გაწევისას.

მუხლი 19. უარი სამართლებრივ დახმარებაზე

შეიძლება უარყოფილ იქნას სამართლებრივი დახმარების თხოვნა თუ ასეთი დახმარების გაწევას შეუძლია ზიანი მოუტანოს სუვერენიტეტს ან უშიშროებას, ან ეწინააღმდეგება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობას, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს.

კარი II.

სამოქალაქო და საოჯახო სააქმეებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები

ნაწილი I.

კომპეტენცია

მუხლი 20. ზოგადი დებულებები

1. თუ ამ კარის II-V ნაწილებში სხვა რამ არ არის დადგენილი, ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს სარცელი წაეყენებათ მიუხედავად მა ი მოქალაქეობისა. ამ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოებში, ხოლო იურიდიულ პირებს სარჩელები წაეყენებათ იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებში, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება იურიდიული პირის მმართველი ორგანი, მისი წარმომადგენლობა ან ფილიალი.

თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოპასუხე, რომელთა საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი) მდებარეობს სხვადასხვა ხელშემკვრელი

მხარეების ტერიტორიაზე, დავა განიხილება ნებისმიერი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) მიხედვით მოსარჩელის არჩევანით.

2. ხელშემკვრელი მხარის სასამართლოები კომპეტენტური არიან აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მის ტერიტორიაზე:

ა) მიმდინარეობს მოპასუხის საწარმოს (ფილიალის) ვაჭრობა, სამრეწველო ან სხვა სამეორნეო საქმიანობა;

ბ) შესრულებულია ან უნდა შესრულდეს ან ნაწილობრივ უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც დავის საგანს წარმოადგენს;

გ) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი აქვს მოსარჩელეს ღირსების, პატიოსნებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ საქმის აღძვრასთან დაკავშირებით.

3. საკუთრების უფლებასთან ან სხვა სანივთო უფლებასთან დაკავშირებული სარჩელის თ ობაზე კომპეტენტური არიან მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოები ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ტვირთის, მგზავრებისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სარჩელები გადამზიდველებს წაეყენებათ იმ იმ სატრანსპორტო ორგანიზაციის სამმართველოს ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელსაც დადგენილი წესიტ წაუყენეს პრეტენზიები.

მუხლი 21. სახელშეკრულებო განსჯადობა

1. ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს შეუძლიათ განიხილონ საქმეები სხვა შემთხვევებშიც, თუ არსებობს წერილობითი ვალდებულება სასამართლოებისათვის დავის გადაცემის შესახებ.

ამასთან განსაკუთრებული კომპეტენცია, რომლებიც გამომდინარეობს მე-20 მუხლის მე-3 პუნქტიდან და ამ კარის II-IV ნაწილებით დადგენილი ნორმებიდან, აგრეთვე შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის შიდა კანონმდებლობიდან, არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

2. თუ არსებობს შეთანხმება დავის გადაცემის შესახებ, მოპასუხის განცხადების თანახმად სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას.

მუხლი 22. სასამართლო პროცესების ურთიერთკავშირი

1. თუ აღძრულია სასამართლო საქმე, ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე საგანზე და ერთსა და იმავე საფუძველზე ორი ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებში, რომლებიც კომპეტენტური არიან ამ კონვენციის დანახმად, სასამართლო, რომელშიც უფრო გვიან არის აღძრული საქმე, წყვეტს წარმოებას.

2. შეგებებული სარცელი და ჩათვლის მოთხოვნა, გამომდინარე იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომლიდანაც გამომდინარეობს ძირითადი სარჩელი, ექვემდებარება იმ სასამართლოში განიხილვას, რომელიც განიხილავს ძირითად სარჩელს.

ნაწილი II.

პირადი სტატუსი

მუხლი 23. უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

1. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ხელისშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი.

2. იმპ ირის ქმედუნარიანობა, რომელსაც მოქალაქეობა არ აქვს, განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

3. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა განისაზღვრება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის კანონებიცაა იგი დაარსდა.

მუხლი 24. შეზღუდულად ქმედუნარიანობის ან არაქმედუნარიანობის ცნობა. ქმედუნარიანობის აღდგენა.

1. პირის შეზღუდულად ქმედუნარიანობის ან არაქმედუნარიანობის ცნობასთან დაკავშირებით, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი.

3. თუ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომელსაც შეატყობინეს საფუძველი პირის შეზღუდულად ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ, სამი თვის განმავლობაში არ დაიწყებს საქმეს ან არ გამოხატავს თავის აზრს, საქმეს პირის შეზღუდულად ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ განიხილავს იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ამ მოქალაქეს აქვს საცხოვრებელი ადგილი. გადაწყვეტილება პირის შეზღუდულად ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ გაეგზავნება იმ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი.

4. ამ მუხლის 1-3 პუნქტების დებულებები გამოიყენება შესაბამისად ქმედუნარიანობის აღდგენის შემთხვევებშიც.

მუხლი 25. უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება, სიკვდილის ფაქტის დადგენა.

1. პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების საქმეში, ან სიკვდილის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულება, რომლის მოქალაქეც იყო პირი იმ დროს, როდესაც უკანასკნელი მონაცემებით ცოცხალი იყო, ხოლო სხვა პირების მიმართ – იუსტიციის დაწესებულებები პირის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. ყოველი ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებებს შეუძლიათ აღიარონ მეორე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე ან მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა პირი უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად, აგრეთვე დაადგინონ მისი სიკვდილის ფაქტი. მის ტერიტორიაზე მცხოვრები დაინტერესებული პირების შუამდგომლობით, რომელთა უფლებებსა და ინტერესებს საფუძველად უდევს ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა.

3. მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობის ან გარდაცვლილად აღიარების საქმის და სიკვდილის ფაქტის დადგენის საქმის განხილვისას ხელშემკვრელი მხარეების იუსტიციის დაწესებულებები იყენებენ თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობას;

ნაწილი III.

ოჯახური საქმეები

მუხლი 26. ქორწინება

ქორწინების პირობებს თითოეული მომავალი მეუღლისათვის განსაზღვრავს იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი, ხოლო იმ პირთათვის, ვისაც მოქალაქეობა არა აქვს, ხელშემკვრელი მხარე, რომლის მუდმივი მაცხოვრებლებიცისინი არიან. გარდა ამისა, ქორწინების დაბრკოლებებთან დაკავშირებით დაცული უნდა იყოს იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ქორწინება.

მუხლი 27. მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობა

1. მეუღლეთა პირადი და სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ აქვთ ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი.

2. თუ ერთ-ერთი მეუღლეთაგანი ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე-მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და ამასთან ორივე მეუღლეს ერთი და იგივე მოქალაქეობა აქვს, მათი პირადი და ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.

3. თუ ერთ-ერთი მეუღლე არის ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, ხოლო მეორე-მეორე მხარის მოქალაქე და ერთი მადგანი ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის, მეორე კი – მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, მათი პირადი და ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც, მათ ჰქონდათ უკანასკნელი ერთობლივი ადგილსაცხოვრებელი.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ პირებს არ ჰქონდათ ერთობლივი საცხოვრებელი ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე. მათ მიმართ გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის დაწესებულებაც განიხილავს საქმეს.

5. მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობა, რომლიც ეხება მათ უძრავ ქონებას, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ეს ქონება მდებარეობს.

6. მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობების საქმეში კომპეტენტური არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის კანონმდებლობაც გამოიყენება ამ მუხლის 1-3,5 პუნქტების თანახმად.

მუხლი 28. განქორწინება

1. განქორწინებასთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა რომლის მოქალაქეებიც არიან მეუღლეები განცხადების შეტანის მომენტში.

2. თუ ერთ-ერთი მეუღლე არის ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარისა, გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის დაწესებულებაც განიხილავს განქორწინების საქმეს.

მუხლი 29. ხელშემკვრელი მხარეების დაწესებულებათა კომპეტენტურობა

1. განქორწინების საქმეებთან დაკავშირებით, 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომპეტენტური არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის მოქალაქეებიც არიან მეუღლეები განცხადების შეტანის მომენტში. თუ განცხადების შეტანის

მომენტში ორივე მეუღლე ცხოვრობს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე,- კომპეტენტური არიან აგრეთვე ამ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები.

2. განქორწინების საქმესთან დაკავშირებით 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომპეტენტური არიან ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს ორივე მეუღლე. თუ ერთ-ერთი მეუღლე ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე-მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე,- განქორწინების საქმეში კომპეტენტური არიან ორივე ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომელთა ტერიტორიაზეც ცხოვრობენ მეუღლეები.

მუხლი 30. ქორწინების ბათილად ცნობა

1. ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე საქმეთა მიმართ გამოიყენება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომელიც 26-ე მუხლის შესაბამისად გამოყენებული იყო ქორწინების დროს.

2. ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე საქმეთა დაწესებულების კომპეტენტურობა განისაზღვრება 27-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 31. მამობის ან დედობის დადგენა ან შეცვლა

მამობის ან დედობის დადგენა ან შეცვლა განისაზღვრება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი დაბადებით.

მუხლი 32 მშობელთა და შვილთა სამართალურიერთობა

1. მშობელთა და შვილთა სამართალურიერთობა განისაზღვრება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობენ შვილები.

2. სრულწლოვანი შვილებისთვის ალიმენტის გადახდევინების საქმეთა მიმართ გამოიყენება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საცხოვრისი პირს, რომელიც ალიმენტების მიღებას ითხოვს.

3. მშობლებსა და შვილებს შორის სამართალურიერთობის საქმეებში კომპეტენტურია ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომლის კანონმდებლობაც გამოყენებული უნდა იქნეს ამ მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 33. მეურვეობა და მზრუნველობა

1. მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესება ან გაუქმება ხდება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის პირი, რომლის მიმართაც დგინდება ან უქმდება მეურვეობა ან მზრუნველობა.

2. სამართალურიერთობა მეურვეს ან მზრუნველსა და მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს შორის რეგულირდება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის დაწესებულებამაც დანიშნა მეურვე ან მზრუნველი.

3. მეურვეობის ან მზრუნველობის ვალდებულება დგინდება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის მეურვედ ან მზრუნველად დასანიშნი პირი.

4. იმ პირის მეურვედ ან მზრუნველად, რომელიც ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, შეიძლება დაინიშნოს მეორე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, თუ იგი ამ მხარი ტერიტორიაზე ცხოვრობს, სადაც მეურვეობა ან მზრუნველობა განხორციელდება.

მუხლი 34. ხელშემკვრელი მხარეთა დაწესებულებების კომპეტენტურობა მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხებში

მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების ან გაუქმების საქმეში კომპეტენტურნი არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის მოქალაქეც არის პირი, რომელსაც უნდა დაუწესონ ან გაუუქმონ მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ამ კონვენციით.

მუხლი 35. მეურვეობისა და მზრუნველობის ღონისძიებათა მიღების წესი

1. იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა მეურვეობის ან მზრუნველობის ღონისძიებების მიღება ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქის მიმართ, რომლის მუდმივი საცხოვრისი, ადგილსამყოფელი ან ქონება მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზეა, ამ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება დაუყოვნებლივ ატყობინებს დაწესებულებას, რომელიც კომპეტენტურია 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. გადაუდებელ შემთხვევებში, მეორე ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებას შეუძლია თვითონ მიიღოს საჭირო დროებითი ღონისძიებები თავისი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე 34-ე მუხლის შესაბამისად კომპეტენტურ დაწესებულებას. ეს ღონისძიებები ძალაში რჩება 34-ე მუხლში აღნიშნული დაწესებულების მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 36. მეურვეობისა და მზრუნველობის გადაცემის წესი

1. 34-ე მუხლის შესაბამისად კომპეტენტურ დაწესებულებას შეუძლია მეურვეობა ან მზრუნველობა გადასცეს მეორე ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებას იმ შემთხვევაში, თუ მეურვეობის ა მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე აქვს საცხოვრისი, ადგილსამყოფელი ან ქონება. მეურვეობის ან მზრუნველობის გადაცემა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა დაწესებულება, რომელსაც თხოვენ, თავის თავზე აიღებს მეურვეობას ან მზრუნველობას და ამის შესახებ აცნობებს მომთხოვნ დაწესებულებას.

2. დაწესებულება, რომელმაც ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად თავის თავზე აიღო მეურვეობა ან მზრუნველობა, ახორციელებს მას თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 37. შვილება

1. შვილება ან მისი გაუქმება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის მშვილებელი შვილების ან მისი გაუქმების თაობაზე განცხადების შეტანის მომენტში.

2. თუ ბავშვი მეორე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, შვილების ან მისი გაუქმების დროს საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის ან კომპეტენტური სახელმწიფოს ორგანოს თანხმობის, აგრეთვე ბავშვის თანხმობის მიღება, თუ ამას მოითხოვს იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის იგი.

3. თუ ბავშვი შვილად აჰყავთ ცოლ-ქმარს, რომელთაგან ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, ხოლო მეორე – სხვა ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, შვილება ან მისის გაუქმება უნდა მოხდეს ორივე ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით.

4. შვილების ან მისი გაუქმების საქმეებში კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის მოქალაქეც არის მშვიდებელი შვილების ან მისი გაუქმების შესახებ განცხადების შეტანის მომენტში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის ტერიტორიაზეც ცოლ-ქმარს აქვთ ან ჰქონდათ ბოლო ერთობლივი საცხოვრისი ან ადგილსამყოფელი.